




# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



## განკარგულება № 162

2013 წლის 28 ნოემბერი  
ქალაქი ხაშური

ავტომანქანების (ზილ-130, კამაზი) სათადარიგო ნაწილების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2013 წლის 30 ოქტომბერს (სატენდერო განცხადება SPA130023657) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ავტომანქანების (ზილ-130, კამაზი) სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე, რომელსაც 2013 წლის 13 ნოემბერს მიენიჭა სტატუსი „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის ავტომანქანებისათვის (ზილ-130, კამაზი) სათადარიგო ნაწილების შესყიდვა კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის 2013 წლის 15 ნოემბრის №175 მოხსენებითი ბარათის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #52 დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის კუთვნილი ავტომანქანებისათვის (ზილ-130, კამაზი) სათადარიგო ნაწილების გამარტივებული შესყიდვა;
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად;
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე  
დავით ლომიძე

